



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N190

2016 წლის 23 დეკემბერი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 მარტის №21 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „მეორე ტიპის დიაბეტიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტოზური დახმარების პროგრამაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის N01/ 11659 მომართვის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 მარტის №21 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „მეორე ტიპის დიაბეტიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტოზური დახმარების პროგრამაში“ თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.თხილაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ამოქმედდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №19 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილებების ძალაში შესვლისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ს.ოქროპირიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის პროგრამა

2016 წელი
ზომის ერთეული ლარი

1 პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)

მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტოზური დახმარება

2 პროგრამის საანგარიშო პერიოდი:

დაწყება: 01.03.2016

დასრულება: 31.12.2016

3 პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

25 000(ოცდახუთი ათასი) ლარი

4 პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ა) ძირითადი_ადგილობრივი ბიუჯეტი 25 000 ლარი

ბ) დამატებითი _ 0 ლარი

5 პროგრამის განმახორციელებელი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

6 პროგრამის აღწერა და აქტუალობის დასაბუთება

შპრიანი დიაბეტი ფართოდ გავრცელებული ქრონიკული დაავადებაა, რომლის ფონზე ვითარდება ინვალიდობის გამოწვევი გართულებები: როგორცაა სიბრმავე, გიდი, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა, განგრენა, თირკმლის პროგრესული დაზიანება. შაქრიანი დიაბეტი არსებობს ორი ტიპის: ინსულინდამოკიდებული(ტიპი1)და ინსულინდამოუკიდებელი(ტიპი2), ინსულინდამოკიდებული დიაბეტი (ტიპი1) ფინანსირდება ფედერალური პროგრამების მეშვეობით, ხოლო ინსულინდამოუკიდებელი (ტიპი2) დიაბეტის მედიკამენტური მკურნალობა არ ფინანსირდება, რადგან ამ დაავადებების მქონე პირები საჭიროებენ მკურნალობას ძვირადღირებული პრეპარატებით, რომელთა შეძენის საშუალებაც ხშირ შემთხვევაში, მათ ოჯახებს არ შეუძლიათ, რაც იწვევს დაავადებათა გამწვავებას და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას. პროგრამა ითვალისწინებს მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებული 900 ზენეფიცირის წლის განმავლობაში ყოველდღიურად მისაღები სპეციფიკური მედიკამენტით უზრუნველყოფას, რაც მიზნად ისახავს ბენეფიციართა ავადობის და დაინვალიდების შემცირებას.

7 პროგრამის ძირითადი მიზნები

პაციენტების ცხოვრების ხარისხის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა.

8 მოსალოდნელი შედეგები

1	დაავადების სტაბილიზაცია;
2	გაუმჯობესებული ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობა;
3	ინვალიდობის პრევენცია;
4	დაავადების გართულებების თავიდან აცილება;

9 შედეგების შეფასების კრიტერიუმები

1	პროგრამაში მონაწილე პირთა რაოდენობა
2	გაუმჯობესებულ პაციენტთა რაოდენობა
3	კმაყოფილების დონის განსაზღვრა

პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნების და ამოცანების მიხედვით:

10

N	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1		X									
2		X	X	X	X	X	X	X	X	X	X
3		X	X	X	X	X	X	X	X	X	X
4			X	X	X	X	X	X	X	X	X

11 პროგრამის მოსარგებელ პირთა შერჩევა:

2016 წლის განმავლობაში შემოსული განცხადებები.

12 პროგრამის ბიუჯეტი:

პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით.

№	წარის დასახელება		2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	სულ
	1	ძირითადი	25 000			
2	დამატებითი	0				0
	სულ	25 000				25 000

13 პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	განზომილების ერთეული	მედიკამენტების რაოდენობა	სავარაუდო ფასი	სავარაუდო თანხა
1	მეტფორმინი 1000მგ. (metformin)	აბი	34 000	0,1	3400
2	გლიკლაზიდი მრ (დიაბეტონ მრ) 60 მგ (gliklazid MR)	აბი	30 000	0,28	8400
3	გლიმეპირიდი 2მგ/მეტფორმინი 500მგ (Glimepide/metformin)	აბი	30000	0,44	13200

14 საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დადგენილი თანხა	შენიშვნა
1	ინდივიდუალური მედიკამენტით უზრუნველყოფა	2016წლის 1 კვარტალი	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი		

15 დამატებითი ინფორმაცია:

ა) გამგეობას უფლება აქვს ცალკეული კვარტალების მიხედვით არათანაბარი შესრულების შემთხვევაში გამგეობის საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით გადაანაწილოს პროგრამის ბიუჯეტის კვარტალური გაყოფა.

დამატებული ხარჯების კვარტალური განაწილება

- 1 კვარტალი 7 000 ლარი,
- 2 კვარტალი 7 000 ლარი,
- 3 კვარტალი 7 000 ლარი,
- 4 კვარტალი 4 000 ლარი.

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

- 1. ბუკეტური მომართავს გამგეობას განცხადებით.

2. გამგებლის ან გამგებლის მოადგილის რეზიუმეს თანახმად ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ქიმიის მიერ გაცემული ფორმა № IV - 100/ს საფუძველზე უზრუნველყოს პროექტის გამგებელს ხელშეკრულებით მომსახურე აფთიაქზე, სადაც მითითებულია ბენეფიციარის მონაცემები და მედიკამენტის ზუსტი დასახელება. ასევე წლის განმავლობაში ბენეფიციარზე გასაცემი მედიკამენტის გაცემის გრაფიკი თვის მედიკამენტის ოდენობის მითითებით.

3. პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტები ბენეფიციარებზე გაიცემა შემდეგი სქემით: თითოეული მედიკამენტი არაუმეტეს ერთი აბისა დღეში (ზღვრული სადღეღამისო დოზა 1 აბი დღეში).

4. მედიკამენტების შესყიდვის მოცულობა განისაზღვრება ინვიდუალურად ფორმა № IV - 100/ს-ში მითითებული მედიკამენტების მიხედვით ხელშეკრულებით გათვალისწინებული მედიკამენტების ჩამონათვლის ფარგლებში. შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფინანსება განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სააფთიაქო დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით. პროგრამის „მიმწოდებლის“ დაფინანსება განხორციელდება ყოველივე ფაქტიურად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს დაფინანსების დამტკიცებული მოცულობისა.

ბ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

პროგრამის მოსარგებლები არიან ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები: ბავშვები 18 წლამდე (ჩათვლით) – შეზღუდვის გარეშე; მოზრდილები 18 წლის ზემოთ - 0-100 000-მდე სოციალურად დაუცველები; ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები; შშმ პირები და ასაკით პენსიონრები რომლებიც არიან დაავადებული დიაბეტით (ტიპი 2), მომართავენ მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით და წარმოადგენენ შემდეგ დოკუმენტებს :

1. განცხადება გამგებლის სახელზე
2. ფორმა N IV- 100/ს
3. პირადობის მოწმობა, თუ ბენეფიციარი ბავშვია, მშობლის ან მეურვის პირადობის მოწმობის ასლი;
4. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან (სარეიტინგო ქულა არაუმეტეს 100 000).

გ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 სამუშაო დღის განმავლობაში

დ) პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში (მუხლი 13. პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით) გაწერილი „მედიკამენტების რაოდენობა“ და ამავე დროს ბენეფიციართა რაოდენობა სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, პროგრამის მსვლელობის დროს მოსალოდნელია არსებული ბიუჯეტის ფარგლებში მე-13 მუხლით მოცემული მედიკამენტების ჩამონათვალი მედიკამენტების რაოდენობის ცვლა.